



MES 9 20 0000936211



02/10/2020

სააპელაციო საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის ჩატარების თარიღი 11/09/2020

სხდომის დაწყების დრო 12:00 სთ

სხდომის დამთავრების დრო 13:40 სთ

საბჭოს თავმჯდომარე - ნინო ოკრიბელაშვილი

საბჭოს მდივანი - დავით ჭეიშვილი

სააპელაციო საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

ნინო ოკრიბელაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;

დავით ჭეიშვილი - სსიპ - ვაჟა-ფშაველას სახელობის ქალაქ თბილისის N87 საჯარო სკოლის დირექტორი - საბჭოს მდივანი;

თამარ ვეფხვაძე - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

მანანა სამხარაძე - სსიპ - ქალაქ თბილისის N220 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

თეა სიფრაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/წ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სააპელაციო საბჭოს სხდომის ჩატარება მოხდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღოთ მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ანა ლელაძე	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი
2	ლალი გიორგიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ:

- ნონა ზუმბაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
- ვალერი მოსიაშვილი** - პროგრამის ხელმძღვანელი;
- თემურ წურწუშია** - იურიდიული სამსახურის უფროსი;
- ანა ფირცხალაშვილი** - ვიცე რექტორი კვლევების მიმართულებით;
- ანი ქვათაძე** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნინო ოკრიბელაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის მე-5 პუნქტის, შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁷ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

✓ არა

სხდომის დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა;

1.პირველი საკითხი - შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სეუს „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული სააპელაციო საჩივრის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1.	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საბანკო საქმე
2.	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
3.	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
4.	კვალიფიკაციის დასახელება	საბანკო საქმის მაგისტრი 0412
5.	სწავლების ენა	ქართული
6.	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
7.	საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	03/04/2020

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცხეობა

✓ არა

ცენტრის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით უზრუნველყო საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლების ჩართვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარსა და დაკავშირებულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა აპელანტს წარმოედგინა მისი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ წურწუმიამ განაცხადა, რომ 2020 წლის 24 მარტს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს №48 გადაწყვეტილებით „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციის მინიჭებაზე. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის თანახმად პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით მხოლოდ მეორე სტანდარტთან მიმართებით შეფასდა მეტწილი

შესაბამისობით, ხოლო დანარჩენი ოთხი სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. დასკვნაში მოცემულ რეკომენდაციებს დაწესებულება გარკვეულწილად იზიარებს და გამოხატულია მზაობა პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. ექსპერტების მიერ დასკვნაში წარმოდგენილი პოზიციის თანახმად პროგრამა გადის შედეგზე, შესაბამისად საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დაწესებულების წარმომადგენლებისათვის გახლდათ მოულოდნელი. ამასთანავე, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საბჭოს სხდომაზე არ გაიმართა საუბარი სტანდარტების ან რომელიმე ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შეუსაბამობაზე. საბჭოს გადაწყვეტილება გახლავთ ადმინისტრაციული აქტი, სამართლებრივი თვალსაზრისით გადაწყვეტილება მოქცეულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის რეგულირების ფარგლებში. ამავე კოდექსის 53-ე მუხლის თანახმად, წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, ფაქტებზე, მტკიცებულებებზე ან არგუმენტებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს. იმ შემთხვევაში თუ საბჭოს სხდომაზე არ გამართულა მსჯელობა და შემდგომ საბჭოს გადაწყვეტილებაში მოხდა სტანდარტის შესაბამისობის ცვლილება დასაბუთების გარეშე, გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდის კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ასევე აღსანიშნავია, რომ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“²⁷ მუხლის თანახმად საბჭო ვალდებულია დასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, თუმცა გადაწყვეტილების 2.4 პუნქტი არის ბუნდოვანი სადაც საუბარია, რომ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მეორე სტანდარტი შეფასდეს როგორც არ არის შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან. დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, საბჭოს შეფასება არის არასამართლიანი და არარელევანტური და წინააღმდეგობაში მოდის ზემოთაღნიშნული დებულების 27⁴ მუხლთან, რომლის თანახმად საბჭოს წევრი უნდა იყოს დამოუკიდებელი, ობიექტური და მიუკერძოებელი და ორიენტირებული უნდა იყოს თანამშრომლობაზე. ამავე დროს გადაწყვეტილება ცალსახად ეჭვის ქვეშ აყენებს ექსპერტების კომპეტენციას. ექსპერტებმა შეისწავლეს პროგრამა სრულფასოვნად თუმცა იგნორირებული იქნა დასკვნაში მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები და შეფასებები. სახეზეა კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევა, შეილახა დაწესებულების უფლებები. მათი მოთხოვნაა დაკმაყოფილდეს საჩივარი და ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს აკრედიტაციის საბჭოს „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვალერი მოსაიშვილმა ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. პირველი რეკომენდაცია ეხება თანამშრომლობის გაძლიერებას დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან და მათ ჩართვას უფრო აქტიურად პროგრამის განვითარების პროცესში. აღსანიშნავია რომ როგორც დამსაქმებლებთან ასევე კურსდამთავრებულებთან ნამდვილად მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა. სწორედ კურსდამთავრებულების რეკომენდაციით სასწავლო კურსებს დაემატა ისეთი კურსები როგორც არის „ფინანსური ინსტიტუტები და საქმე“, მენეჯერული ეკონომიკა“, „ ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკული კურსი“. სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა გარდა ქართული ენისა კურსები მოსმენილი იქნას ინგლისურ ენაზე. დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობის და რეკომენდაციების შედეგად, ორი სასწავლო კურსი მოდიფიცირებულ იქნა და წარმოდგენილია ახალი რედაქციით, ეს კურსებია „ფინანსური ანგარიშგება კომერციულ ბანკებში“ და „კომერციული ბანკების საქმიანობის ფინანსური ანალიზი“. ეს არ გახლავთ ერთჯერადი პროცესი, თანამშრომლობა მიუხედავად სირთულეებისა გახლავთ პერმანენტული ხასიათის.

მეორე რეკომენდაციის თანახმად რეკომენდირებულია გადაიხედოს სასწავლო კურსებისათვის განკუთვნილი კრედიტების განაწილება და სასწავლო კურსებს განესაზღვროს სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო სამუშაო საათების და შესაბამისად კრედიტების უფრო ლოგიკური მოცულობა. აღსანიშნავია რომ დაწესებულება გაეცნო საუკეთესო პრაქტიკას როგორც საბანკო საქმის ასევე სხვა პროგრამების მიმართულებით, ძირითად სპეციალობაში ძირითადად ყველაგან მოცემულია კრედიტების განაწილების ერთნაირი სისტემა, თუმცა საგულისხმოა განსხვავება საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის.

მესამე რეკომენდაციის თანახმად რეკომენდირებულია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე „ბიზნესის კვლევის მეთოდები“ მეტ დროს უთმობდეს კვლევის რაოდენობრივი მეთოდების შესწავლას. ასევე მონაცემთა დამუშავებისათვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის სწავლებას (SPSS, STATA) ან აღნიშნული მიზნებისათვის შესაძლებელია პროგრამას დაემატოს სასწავლო კურსი, რომელიც სტუდენტებს მისცემს რაოდენობრივი მონაცემების ანალიზისა და სტატისტიკურად დამუშავებისათვის საჭირო ცოდნასა და უნარებს. დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით „ბიზნესის კვლევის მეთოდები“ აკმაყოფილებს იმ სტანდარტს რასაც ითვალისწინებს სამაგისტრო პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანი ქვათაძემ განაცხადა რომ, რეკომენდირებულია მეტი ყურადღება დაეთმოს რაოდენობრივი კვლევის მეთოდის და პროგრამული უზრუნველყოფის სწავლებას კურსის ფარგლებში. მისი მოსაზრებით, აღნიშნული სასწავლო კურსი სრულყოფილად უზრუნველყოფს იმ სწავლის შედეგებზე გასვლას, რომელიც წინასწარ არის განსაზღვრული როგორც სასწავლო კურსით, ასევე კურიკულუმის რუქაში მითითებული სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისათვის დაწესებული მოთხოვნებისა. კურსში ყურადღება ეთმობა როგორც რაოდენობრივ ასევე თვისებრივ კვლევის მეთოდებს. რაც შეეხება მაგალითისათვის მოყვანილ პროგრამულ უზრუნველყოფას SPSS, აღნიშნული პროგრამა სტუდენტს შეუძლია ცოდნის გაღმავების მიზნით აირჩიოს არჩევითი კურსის სახით. რაც შეეხება STATA - ს აღნიშნული პროგრამა არ არის რელევანტური იქედან გამომდინარე რომ გულისხმობს ეკონომიკური მოდელების დამუშავებას, რეგრესული ანალიზის განხორციელებას, რომელიც არ არის შესაბამისი „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ პირველად ყველა ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი მოწმდება ფორმალურად და თუ ის ფორმალურ სამართლებრივად აკმაყოფილებს იმ ინფორმაციას რომელიც მას განსაზღვრული აქვს ადმინისტრაციული კოდექსით, შემდეგ უკვე შესაძლებელია გადასვლა შინაარსობრივ მსჯელობაზე. მოცემული ადმინისტრაციული აქტი ანუ საბჭოს გადაწყვეტილება გახლავთ თვითნებურად გამოცემული, არ არის წარმოდგენილი კოლეგიალური ორგანოს მიერ მსჯელობა და დასაბუთება რომელიც მას ევალება დაწყებული საქართველოს კონსტიტუციიდან დასრულებული საქართველოს კანონმდებლობით. დარღვეულია ყველა მოთხოვნა, კერძოდ დაწესებულების კონსტიტუციური უფლება იქედან გამომდინარე რომ მათ არ აქვთ ინფორმაცია თუ რატომ მიიღო აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვეტილება უარის შესახებ. მისი თხოვნაა სააკველაციო საბჭოსადმი მიღებული იქნას გადაწყვეტილება რამდენად ფორმალურ სამართლებრივად აკმაყოფილებს სადაო აქტი შესაბამის მოთხოვნებს. მხოლოდ აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის შემდგომ არის შესაძლებელი საუბარი შეეხოს უშუალოდ პროგრამის შინაარსს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვალერი მოსიაშვილმა ყურადღება გაამახვილა რეკომენდაციაზე რომელიც ეხება საფინანსო სამართალს. კერძოდ კურსიდან ამოღებული იქნას თემატიკა რომელიც ეხება სადაზღვეო საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებას, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსს და ფასიანი ქაღალდების შესახებ კანონს. აღსანიშნავია რომ საფინანსო სისტემის შესწავლა წარმოუდგენელია ისეთი საკითხების გარეშე როგორც არის საკრედიტო სისტემა და სადაზღვეო სფერო, რომელიც მოქცეულია საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციებში. მოცემული საკითხების გარეშე ბანკირს ვერ ექნება საფინანსო

სისტემაზე სრულფასოვანი წარმოდგენა. ასევე საგულისხმოა შენიშვნა არჩევით სასწავლო კურსებთან დაკავშირებით, კერძოდ „მენეჯმენტის საინფორმაციო ტექნოლოგიებთან“ და „აკადემიურ წერასთან დაკავშირებით“. არჩევითი სასწავლო კურსი შეეთავაზება მაგისტრს, რომელსაც შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს ესაჭიროება თუ არა კონკრეტული კურსი კომპეტენციის გაღრმავების მიზნით. ასევე ერთ-ერთი შენიშვნა ეხებოდა თუ რატომ იყო საინვესტიციო ბანკები ნაკლებად აქტუალურად მიჩნეული დასაქმების სფეროდ. მათი ინფორმაციით აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები მოცემულ ეტაპზე არ არიან დასაქმებულები საინვესტიციო ბანკებში, თუმცა მათ აქვთ ჩანაწერი რომლის თანახმად პროგრამის კურსდამთავრებულს ექნება უნარ-ჩვევები იმისათვის რომ საჭიროების შემთხვევაში დასაქმდეს საინვესტიციო ბანკში.

დისკუსია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ სამართლებრივი საკითხი, რომელზეც დაობს დაწესებულება არ არის მისი კომპეტენცია, თუმცა ცენტრის თხოვნით ის შემოუერთდა სააპელაციო საბჭოს სხდომას. რაც შეეხება დაწესებულების პოზიციას იმის თაობაზე, რომ აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე არ გამართულა დისკუსია, ოქმი გახლავთ საკმაოდ ინფორმაციული სადაც ნათლად ჩანს რომ დისკუსია საბჭოს სხდომაზე გარკვეულ საკითხებთან მიმართებით შედგა. ასევე დაწესებულების წარმომადგენლებსაც ჰქონდათ შესაძლებლობა დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია. მსჯელობიდან გამომდინარე საბჭოს წევრები ნაწილობრივ დაეთანხმნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში წარმოდგენილ რეკომენდაციებს, თუმცა ამავე დროს საბჭოს წევრებმა არ გაიზიარეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული ზოგიერთი რეკომენდაცია და ამის სამართლებრივი უფლება საბჭოს აქვს. რაც შეეხება უშუალოდ რეკომენდაციებს, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი შენიშვნა შეეხო საინვესტიციო ბანკებში კურსდამთავრებულების დასაქმებას. აღსანიშნავია რომ ამ შემთხვევაში საუბარი არ ყოფილა საინვესტიციო ბანკებზე, საბჭოზე გამოითქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს საკმაოდ მაღალ საფეხურზე დასაქმება როგორც კომერციულ ასევე საინვესტიციო ბანკებში. აღნიშნულთან დაკავშირებით სხდომაზე დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს რომ საინვესტიციო ბანკები არ იყო მათთვის აქტუალური. ამავე დროს პროგრამის მიზანში მითითებულია რომ კურსდამთავრებული უნდა იყოს კონკურენტუნარიანი როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო ბაზარზე. სხდომაზე დაისვა დამატებით კითხვა მის მიერ თუ სად იყვნენ დასაქმებულები კურსდამთავრებული რაზეც გაჟღერდა ინფორმაცია რომ ისინი ძირითადად საქმიანობდნენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში და კომერციულ ბანკებში. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე პერიოდში დაწესებულების რამოდენიმე პროგრამამ გაიარა აკრედიტაცია, რამაც საბჭოს წევრებს მისცა საშუალება ზედმიწევნით გაცნობოდნენ სილაბუსებს. რაც შეეხება ინფორმაციულ სისტემებს, რაზეც ისაუბრა პროგრამის ხელმძღვანელმა, გარკვეული პერიოდით ადრე წარმოდგენილი იყო სააკრედიტაციოდ ამავე დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა „მენეჯმენტის“ მიმართულებით სადაც იყო იგივე სილაბუსი. მათ მიეცათ რჩევა რომ ბაკალავრიატის და მაგისტრატურის სილაბუსები შინაარსობრივად ყოფილიყო განსხვავებული დატვირთვით წარმოდგენილი და მოცემული ყოფილიყო განსხვავებული სიტუაციური ანალიზები. ბანკირებს ინფორმაციული სისტემები აინტერესებთ განსხვავებული კუთხით, შესაბამისად უნდა ისწავლებოდეს სხვა კონტექსტში. ასევე აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე გამოითქვა მოსაზრება რომ აუცილებელი არ არის ისწავლებოდეს SPSS ან STATA პროგრამული უზრუნველყოფა, თუმცა საბანკო საქმეში კვლევა აგებული უნდა იყოს რაოდენობრივ კვლევაზე რაც დაეხმარება სტუდენტს ანალიტიკური უნარების გამომუშავებაში. „ბიზნესის კვლევის მეთოდები“ მოცემულ შემთხვევაში გახლავთ საუნივერსიტეტო საგანი, თუმცა ბანკირს გარდა

ზოგადი კვლევის მეთოდებისა ესაჭიროება ზუსტად ის უნარები რაც მას მისცემს რაოდენობრივი კვლევის საშუალებას. ყოველივე აღნიშნული ოქმში მოცემულია დაწვრილებით, მაშინ როდესაც დაწესებულება აცხადებს რომ მოცემულ საკითხებზე საბჭოს სხდომის დროს საუბარი არ ყოფილა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანი ქვათაძემ განაცხადა, რომ გიორგი თურქიამ ახსენა თითქოს საბაკალავრო და სამაგისტრო დონეზე სწავლება ხორციელდება ერთი და იმავე სილაბუსებით. აღნიშნული გახლავთ ფაქტობრივი გარემოების არასწორი ინტერპრეტაცია, ვინაიდან არც ექსპერტთა ჯგუფს და არც საბჭოს წევრებს არ ჰქონიათ მოსაზრება რომ სილაბუსები „მენეჯმენტის“ და „საბანკო საქმის“ პროგრამებში გახლდათ ერთი და იგივე და იყო საბაკალავრო დონის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ წურწუმიამ განაცხადა, რომ გადაწყვეტილების თანახმად ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა გახლავთ გადაწყვეტილების განუყოფელი ნაწილი. ასეთ შეთხვევაში ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში საუბარია იმაზე, რომ პროგრამა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში მოდის თავის თავთან.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აღნიშნული გახლავთ აპრობირებული მეთოდი, შესაძლებელია რომ ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილი იყოს სხვა შეფასება და მსჯელობის პროცესში უკვე საბჭოს სხდომაზე მიღებული იქნას განსხვავებული გადაწყვეტილება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ გადაწყვეტილება შედგება სამოტივაციო და სარეზოლუციო ნაწილებისაგან. სარეზოლუციო ნაწილი არის სამართლებრივი ფორმა სადაც წერია თუ რა გადაწყვეტილება მიიღო საბჭომ. სარეზოლუციო ნაწილი არ შეიცავს დასაბუთებას თუ რატომ მიიღო საბჭომ განსხვავებული გადაწყვეტილება. საბჭომ აღნიშნულ დოკუმენტში უნდა აღწეროს თუ რა არ მოეწონათ მათ. მათ არ აქვთ ინფორმაცია თუ რაზე მიუთითებს საბჭო.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, სოფიო ხუნდაძემ განაცხადა, რომ სამართლებრივ ნაწილთან დაკავშირებით საუბარზე შეიკავებდა თავს და ისაუბრებს დასკვნაში მოცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ზოგადად დოკუმენტებიდან იკვეთებოდა რომ გარკვეული ცვლილებები შეტანილი იქნა პროგრამაში დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების მოსაზრებების საფუძველზე, თუმცა ვიზიტის დროს ინტერვიუების პროცესში მათი აქტიური ჩართულობა ნაკლებად გამოიკვეთა. შესაბამისად ამის საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაცია. რაც შეეხება კრედიტების განაწილებას, საუბარი იყო კონკრეტულ სასწავლო კურსებზე, რომელსაც მათი მოსაზრებით არ შეიძლება ერთნაირი მოცულობის დატვირთვა მიენიჭოს იმ სწავლის შედეგების მისაღწევად რაც თითოეული სასწავლო კურსით არის განსაზღვრული. საუბარი იყო შედარებებზე და დატვირთვის ლოგიკურ განაწილებაზე. რაც შეეხება პროგრამულ უზრუნველყოფებს, აუცილებელია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე რაოდენობრივი კვლევის მეთოდების და სტატისტიკური მონაცემების დამუშავების სწავლებას დაეთმოს ნაწილი, მათ მხოლოდ მაგალითისათვის მოიყვანეს რამოდენიმე პროგრამა. საბჭოს გადაწყვეტილებაში ამოღებული იყო აღნიშნული მაგალითებიც, რაც იმას ნიშნავს რომ ეს მაგალითები არ იყო ვალდებულებითი შინაარსის მქონე. რაც შეეხება დაწესებულების პოზიციას იმის თაობაზე, რომ პროგრამაზე ირიცხება სტუდენტი რომელსაც საბაკალავრო საფეხურზე დაგროვილი აქვს გარკვეული ცოდნა კვლევის მეთოდებში, ვინაიდან მიღების წინაპირობები არ არის შეზღუდული აღნიშნულ მოსაზრებას ვერ დაეთანხმება. რაც შეეხება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების გადაფარვას, ვიზიტის ფარგლებში მათ შეამოწმეს კონკრეტული სამაგისტრო პროგრამა და არ ჰქონდა შესაძლებლობა შედარებების გაკეთების გადაფარვასთან დაკავშირებით. აკრედიტაციის საბჭომ გადაწყვეტილებაში დაამატა რეკომენდაციები პროგრამის შინაარსთან მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, დაამატა კონკრეტული თემატიკა. ექსპერტების პოზიციის თანახმად, პროგრამის კვალიფიკაცია განსაზღვრულია საბანკო საქმის მაგისტრით, შესაბამისად ასეთი ვიწრო კვალიფიკაციისათვის პროგრამა საკმაოდ მრავალფეროვან კურსებს მოიცავს, თუმცა გიორგი თურქიას მიერ საბჭოს

სხდომაზე დადგა საკითხი თუ სად დასაქმდებოდა კურსდამთავრებული. ვინაიდან დაწესებულების პოზიციიდან და მოლოდინიდან გამომდინარე ნათელი გახდა რომ კურსდამთავრებული იქნებოდა უფრო მაღალ პოზიციაზე დასაქმებული ვიდრე ოპერატორის პოზიციაზე, საბჭომ მიიჩნია, რომ უმჯობესია კურსდამთავრებულს ჰქონოდა უფრო ღრმა ცოდნა ფინანსების მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანი ქვათაძემ განაცხადა, რომ მათ საბჭოს გააცნეს საკვალიფიკაციო ჩარჩოს აღმწერი საბანკო საქმის მიმართულებით როდესაც საუბარი შეეხო პროგრამის შინაარსს. ექსპერტი სოფო ხუნდაძე დაეთანხმა მათ და საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ პროგრამა აკმაყოფილებდა საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრულ შინაარსს. დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა რომ მათ აქვთ სამართლებრივი უფლება მოითხოვონ აკრედიტაციის საბჭოსგან ის, რომ მათ დასაბუთებულად იცოდნენ თუ რა კონკრეტული პრობლემები დაფიქსირდა მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. კოლეგიალურ ორგანოს აქვს ვალდებულება დაასაბუთოს თუ რატომ ეთქვა პროგრამას უარი. საბჭოს მიერ გაცემული ერთი დამატებითი რეკომენდაცია ეხება პირველ სტანდარტს, ხოლო შეფასება საბჭოს მიერ შეიცვალა მეორე სტანდარტთან მიმართებით, რამაც გამოიწვია დამდგარი შედეგი.

საბჭოს წევრმა, მანანა სამხარაძემ განაცხადა, რომ ოქმიდან იკვეთება მსჯელობა მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეკონკრეტებინა თუ რომელ საკითხზე არ შედგა საუბარი სხდომის მიმდინარეობისას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ წურწუმიამ განაცხადა, რომ მეორე სტანდარტი შედგება ექვსი კომპონენტისაგან, საუბარი შეეხო მხოლოდ ორს. ასევე საბჭოზე არ დაფიქსირდა თუ რა განსხვავებული მოსაზრება ჰქონდა საბჭოს ექსპერტებისაგან.

საბჭოს წევრმა, დავით ჭეიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტს სოფიო ხუნდაძეს და დაინტერესდა, აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრების მიერ დაფიქსირებული მოსაზრებების შემდგომ ისევ მიაჩნია თუ არა მას რომ პროგრამა გავა შედგეზე არსებული მოცემულობით, მას შემდეგ რაც გაიცა დამატებითი რეკომენდაციები საგნების დამატებასთან და პროგრამის შინაარსის გამრავალფეროვნებასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, სოფიო ხუნდაძემ განაცხადა, რომ პროგრამა არსებული ვიწრო კვალიფიკაციიდან გამომდინარე მისი შინაარსით აკმაყოფილებს მოთხოვნებს, თუმცა საბჭოს წევრების რეკომენდაციებიც არის საგულისხმო.

საბჭოს წევრმა, დავით ჭეიშვილმა ჰკითხა სოფიო ხუნდაძეს, თუ ის ხელახლა შეამოწმებდა პროგრამას დაწერდა თუ არა იგივე დასკვნას.

ექსპერტმა, სოფიო ხუნდაძემ განაცხადა, რომ თავიდან რომ აფასებდეს პროგრამას შესაძლოა გარკვეულ თემატიკაზე გაემახვილებინა ყურადღება. საბჭოს მიერ ჩამოთვლილია ბევრი თემები რასაც სრულად არ დაეთანხმებოდა, თუმცა ბიზნესის შეფასების თემატიკაზე გააკეთებდა აქცენტს.

საბჭოს წევრმა, დავით ჭეიშვილმა იკითხა, ასეთ შემთხვევაში იქნებოდა თუ არა მეორე სტანდარტი კვლავ მეტწილად შესაბამისობაში სტანდარტის მოთხოვნებთან, თუ მოხდებოდა შეფასების ცვლილება.

ექსპერტმა, სოფიო ხუნდაძემ განაცხადა, რომ შესაძლებელია მეორე სტანდარტის შეფასება მოცემული ყოფილიყო ნაწილობრივი შესაბამისობით.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი მოსაზრებით და მსჯელობის დროს გამოკვეთილი გარემოებებიდან ჩანს რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებაში მოცემულია რეკომენდაციები რაც იქნა დამატებული მაგრამ სიტყვა სიტყვით არ არის განმარტებული თუ რატომ დაემატა რეკომენდაციები და არ მიენიჭა პროგრამას აკრედიტაცია.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ის მსჯელობა და რეკომენდაციები რაც დაფიქსირდა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ პროგრამა ვერ გამოუშვებს კონკურენტუნარიან ბანკირებს. აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე ასევე საუბარი შეეხო მისანიჭებელ კვალიფიკაციას და გამოითქვა მოსაზრება

რომ დაწესებულება უნდა ჩამოყალიბდეს თუ რა კვალიფიკაციის მინიჭება უნდათ კურსდამთავრებულისათვის.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი გიორგიძემ ეკრანზე გააზიარა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ განაცხადა, რომ ცენტრის რეკომენდაციის მიხედვით თვითშეფასების ანგარიშში მითითებული უნდა იყოს ოთხნიშნა კოდი, შესაბამისად მათ არ მიუთითებიათ ჩაშლილი კოდის სახით.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი გიორგიძემ საბჭოს წევრებს გააცნო ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოდან 0412 კოდის (ფინანსები, საბანკო საქმე, დაზღვევა) აღმწერი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ განაცხადა, რომ ანიჭებენ საბანკო საქმის მაგისტრის კვალიფიკაციას და ენიჭება კონკრეტული კვალიფიკაცია.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლალი გიორგიძემ განაცხადა, რომ კვალიფიკაციის ფორმულირება ხდება პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრმა, თეა სიფრაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და სთხოვა ესაუბრათ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე, სადაც გაზიარებულია აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები და დამატებულია ერთი რეკომენდაცია, რომელიც დაამატეს აკრედიტაციის საბჭოს წევრებმა. მას აინტერესებს, რომელ სტანდარტს მიესადაგება აღნიშნული რეკომენდაციები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თემურ წურწუმიამ განაცხადა, რომ სარეზოლუციო ნაწილში მითითებულია ნორმატიული აქტები და კანონები, რომლის საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება. სწორედ ამ სამართლებრივი აქტების მიხედვით გადაწყვეტილება არის ადმინისტრაციული აქტი, რომელიც მოითხოვს დასაბუთებას და საკითხის ძირფესვიანად განხილვას. სარეზოლუციო ნაწილში მოცემულია ოთხი რეკომენდაცია. მეოთხე რეკომენდაცია არის განსხვავებული, რომელიც შეიმუშავა უშუალოდ აკრედიტაციის საბჭომ. მეოთხე რეკომენდაცია ეხება პირველ სტანდარტს. აკრედიტაციის საბჭომ უნდა დაასაბუთოს თუ რას არ იზიარებს, მხოლოს ამ შემთხვევაში იქნება გადაწყვეტილება სამართლებრივად გამართული. თუ კი გადაწყვეტილება სამართლებრივად არის გაუმართავი, ასეთ შემთხვევაში აღარ უნდა მოხდეს შინაარსზე მსჯელობა. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში მოცემული რეკომენდაციები არ არის აკრედიტაციის მინიჭებაზე უარის თქმის მიზეზი. მოცემული რეკომენდაციები არ ეხება მეორე სტანდარტს, რომლის შეფასებაც შეიცვალა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ესაუბრათ სამაგისტრო ნაშრომის გაფორმებასთან დაკავშირებულ პრობლემაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ განაცხადა, რომ საუბარი იყო სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსთან დაკავშირებით. მათ ჰქონდათ სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია, სადაც დეტალურად იყო გაწერილი მიზანი, შეფასების სიტემები, შედეგები და ა.შ. ვინაიდან ექსპერტებმა მოითხოვეს რომ მათ უნდა ჰქონოდათ სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი, აღნიშნული გათვალისწინებული იქნა და გადმოტანილი იქნა სილაბუსის ფორმაში, რომელიც გადაიგზავნა ცენტრშიც და ნახეს ექსპერტებმაც.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ერთ-ერთი შენიშვნა ეხებოდა აკადემიური პერსონალის მხრიდან მწირ სამეცნიერო აქტივობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულება გახლავთ სასწავლო უნივერსიტეტი, მათი პრიორიტეტი მაინც არის კვლევა. კვლევა არასდროს არ არის საკმარისი, არ არსებობს ზედა ზღვარი. ითვალისწინებენ რომ მეტი მუშაობა არის საჭირო და დაწყებულია შესაბამისი აქტივობები.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ დასკვნის თანახმად საუბარია დასაქმების მაჩვენებლის სიმწირეზე. მას აინტერესებს რა არის აღნიშნული გარემოების გამომწვევი პრობლემა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვალერი მოსიაშვილმა პირველ რიგში სამეცნიერო კვლევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათ ჰყავთ ორი თანამშრომელი რომელთაც აქვთ გამოქვეყნებული ნაშრომები იმპაქტ ფაქტორიან ჟურნალებში. რაც შეეხება დასაქმების

მაჩვენებლს, აღნიშნული ყოველთვის წარმოადგენს პრობლემას, მათი კურსდამთავრებულები არიან ასევე დამსაქმებლებიც და აღნიშნული კუთხით მიმდინარეობს მუშაობა.

საბჭოს წევრმა, თეა სიფრაშვილმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, გარდა მეორე სტანდარტისა ოთხი სტანდარტი არის სრულ შესაბამისობაში მოთხოვნებთან. მან მიმართა გიორგი თურქიას და დაინტერესდა საბჭოს სხდომაზე გამოთქმული იყო თუ არა მოსაზრებები და შენიშვნები სხვა სტანდარტებთან მიმართებით.

აკრედიტაციის საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ ძირითადად დისკუსია ეხებოდა შინაარსობრივ საკითხს თუ რამდენად შეესაბამებოდა კვალიფიკაციას და ბაზრის მოთხოვნებს. ამზადებდა თუ არა პროგრამა კონკურენტინარიან კურსდამთავრებულს. საბჭოზე იყო საუბარი, რომ აღნიშნული შინაარსით პროგრამა ვერ გაზრდის კონკურენტუნარიან სპეციალისტს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნონა ზუმბაძემ განაცხადა, პროგრამა გადის შედეგზე და ამის თაობაზე არ ყოფილა საუბარი არც ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან და არც საბჭოს სხდომაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა, ანა ფირცხალაშვილმა განაცხადა, რომ პრობლემა ყოფილა პირველ სტანდარტთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოს ოქმის თანახმად. გიორგი თურქიას საერთოდ არ უსაუბრია მეორე სტანდარტთან მიმართებით. როგორც ჩანს რაშიც გადაწყვეტილების მიხედვით არის პრობლემა, სულაც არ ყოფილა პრობლემა. აკრედიტაციის საბჭოს სათითაოდ არ გაუვლია სტანდარტები და ვიანიდან მეორე სტანდარტი იყო მეტწილი შესაბამისობით შეფასებული მოხდა მისი ხელოვნურად დაწევა. აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია გადაწყვეტილება მიღებული იქნას სამართლებრივ ჭრილში.

13:17 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება

სხდომა განახლდა 13:25 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის პროცესის უმთავრესი მიზანი არის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა. აკრედიტაციის საბჭოს მიმართ რეკომენდირებულია კვლავ იმსჯელოს საკითხზე და გადაწყვეტილება იყოს უფრო კატეგორიული და დასაბუთებული, იმისათვის რომ დაწესებულებამ იცოდეს თუ რა კონკრეტული პრობლემები აქვს საგანმანათლებლო პროგრამას.

კენჭისყრის შედეგები

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო

დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28⁵ მუხლის პირველი პუნქტისა და 28⁷ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს „საბანკო საქმის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

13:30 სხდომა დახურულად გამოცხადდა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
სააპელაციო საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ოკრიბელაშვილი ნინო

ნ. თეთრქვიციანი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / სააპელაციო საბჭო
მდივანი
ჭეიშვილი დავით

